საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC

საქართველო

მოკლე მიმოხილვა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიაზცია დაფუძნდა, როგორც გაერთიანებული ერების სპეციალიზებული სააგენტო 1948 წელს, რათა იმუშაოს ყველა ადამიანის ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო დონის მისაღწევად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიაზციის კონსტიტუცია განსაზღვრავს ჯანმრთლობას, როგორც სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას და არა როგორც მხოლოდ დაავადების ან სეუძლოდ ყოფნის არარსებობას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას (ჯანმო) 6 ძირითადი პრიორიტეტი აქვს. ამ პრიორიტეტების თანახმად სვლა ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების ჯანმრთელობაზე ორიენტირებული სამიზნეების მიღწევას, როგორიცაა: ჯანმრთელი სიცოცხლის უზრუნველყოფა და თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ხელშეწყობა. ეს პრიორიტეტებია:

1. უნივერსალური ჯანდაცვით მოცვა, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნებს შეინარჩუნონ ან გაზარდონ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყონ ფინანსური დაცულობა და ხელი შეუწყონ უნივერსალურ ჯანდაცვას; 2. ჯანმრთელობასთან დაკშირებული განვითარების მიზნების მიღწევა, როგორიც არის: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკაშირებული გამოწვევებთან გამკლავება, აივ, შიდსთან, მალარიასთან, ტუბერკულოზთან, ჰეპატიტებთან ბრძოლა და პოლიოსა და რიგი ტროპიკული დაავადებების ერადიკაციის მიღწევა; 3. არაგადამდებ დაავადებებთან, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, ძალადობასთან, ტრავმებთან და უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რაგირება; 4. იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ქვეყანას ჰქონდეს შესაძლებლობა, ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების მეშვეობით აღმოაჩინოს და რეაგირება მოახდინოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მწვავე საფრთხეებზ; 5. ხარისხიან, უსაფრთხო, ეფექტიან და ხელმისაწვდომ სამედიცინო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (მედიკამენტები, ვაქცინები, სადიაგნოსტიკო და სხვა სამედიცინო ტექნოლოგიები); 6. ჯანმრთელობის სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დეტერმინანტებზე შესაბამისი რაგირება, როგორც საშუალება, ჯანდაცვის გამოსავლების ხელშეწყობისა და ჯანდაცვაში უთანასწორობის შემცირებისა ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

ბატონი ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი არჩეულ იქნა ჯანმოს გენერალურ დირექტორად 2017 წლის მაისში და მუშაობას შეუდგა 2017 წლის 1 ივლისს. ის პირველია ჯანმოს გენერალურ დირექტორებს შორის, რომლის არჩევა მოხდა ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ მრავლრიცხოვან კანდიდატთა შორის.

ჯანმოს ევროპის რეგიონის ოფისი ფარავს 53 ქვეყანას. (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები, სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტები) ძირითადად განლაგებულნი არიან რეგიონულ ოფისში, რომელიც დანიაში ქ. კოპენჰაგენში მდებარეობს და 5 ტექნიკურ ცენტრში (ბარსელონა, ბონი, ვენეცია, ალმა-ატა, მოსკოვი) და 29 წევრი სახელმწიფოს ოფისში.
ქალბატონი ჟუჟანა ჯაკაბი ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელის პოსტს იკავებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. 2015 წლის იანვარში ჯანმოს აღმასრულებელმა საბჭომ ის მეორე ვადით დანიშნა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მმართველობა
ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეა (WHA) წარმოადგენს ჯანმოს უმაღლეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, რომლის მხარდაჭრა ხორციელდება ჯანმოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ. ასამბლეა იკრიბება ჯანმოს სათაო ოფისში - ჟენევაში ყოველი წლის მაისში. და შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს (194) დელეგატებისაგან, დამკვირვებლებისაგან, გაეროს სხვა სააგენტოების, სამთავრობოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ოფიციალური ურთიერთობები აქვთ ჯანმოსთან.

ევროპის რეგიონის მასშტაბით ჯანმოს ევროპის რეგიონული კომიტეტი ახორციელებს ანალოგიურ როლს. ევროპის რეგიონის ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი იკრიბება ყოველწლიურად სექტემბერში. ამ შეხვედრებზე წევრი სახელმწიფოები (53) აყალიბებენ რეგიონულ პოლიტიკას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, ზედამხედველობას უწევენ ჯანმოს ევროპის რეგიონის ღონისძიებებს და ამტკიცებენ ბიუჯეტს.

რეგიონული კომიტეტის მუდმივმოქმედი კომიტეტი (SCRC) მოქმედებს რეგიონული კომიტეტის სახელით და წარმოადგენს მას და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი მსვლელობა მიეცეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს. მუდმივმოქმედი კომიტეტი წარმოადგენს რეგიონული კომიტეტის საკონსულტაციო ორგანოს და საჭიროების შემთხვევაში, რეგიონული კომიტეტის სესიებს შორის რჩევებს აძლევს რეგიონულ დირექტორს. მუდმივმოქმედი კომიტეტი ანგარიშვალდებულია რეგიონული კომიტეტის მიმართ.

საქართველოს ამჟამად ჰყავს წარმომადგენელი აღმასრულებელ საბჭოში (ბატონი დავით სერგეენკო 2017-2020 წწ) **და მუდმივმოქმედ კომიტეტში** (ბატონი ამირან გამყრელიძე 2015-2018). მინისტრი დავით სერგეენკო გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპის მინისტრთა საბჭოს წევრი იყო (2013-2015).

რეგიონული კომიტეტის მუდმივმოქმედი კომიოტეტის 25-3 მოწვევის მეორე შეხვედრა იმართება საქართველოში, ქ. თბილისში 2017 წ. 28-29 ნოემბერს, რადგან საქართველო 2017-2018 წლებისთვის ამ კომიტეტის თავმჯდომარედ არის არჩეული.

Georgia and WHO
ჯანმოს მთავარი სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში, ისევე, როგორც დანარჩენ ქვეყნებში, არის:

- ჭარბი სიკვდილობის, ავადობისა და უნარშეზღუდულობის შემცირება, განსაკუთრებით ღარიბ და მარგინალიზებულ პოპულაციაშიreducing;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და ადამიანის ჯანმრთელობის რისკ ფაქტორების შემცირება, რომლებიც გარემოს, ეკონომიკური, სოციალური და ქცევითი მიზეზებდიან აღმოცენდებიან;

- ჯანმრთელობის სისტემების განვითარება, რომლებიც ერთნაირად აუმჯობესებს ჯანდაცვის გამოსავლებს, პასუხობს ადამიანების კანონიერ მოთხოვნებს და ფინანსურ შესაძლებლობებს;
- ჯანდაცვის სექტორში აქტიური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავება და ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, და სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსა და განვითარების პოლიტიკაში ეფექტური ჯანდაცვის განზომილების ხელშეწყობა.

საქართველოში ჯანმოს საერთო მიზანია:

- მთავრობის მხარდაჭრა ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის გასავითარებლად და ჯადნაცვის სისტემების გასაძლიერებლად;
- საწიროებების შესაბამისი ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა; გადაუდებელი მდგომარეობებზე მზაობის გაუმჯობესება;
- ჯანდაცვის სექტორში განათლებისა და სწავლების გაუმჯობესებული სტანდარტების ხელშეწყობა;
- ჯანდაცვის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ექსპერტიზისა და ინფორმაციის უზრუნველყოფა ჯანმოს მიზნების მისაღწევად ყველა საჭირო ღონისძიების გატარების მიზნით.

მჭიდრო თანამშრომლობაა ჩამოყალიბებული ჯანმოს საქართველოს ოფისს, რეგიონული ოფისის შესაბამის ტქნიკურ განუყოფილებებსა და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ჩათვლით.

საქართველო ჯანმრთელობის ორგანიზაციის წევრი გახდა 1992 წლის 16 მაისს. 1993 წელს თბილისში გაიხსნა სამეკავშირო ოფისი. 1994 წ. ხელი მოეწერა საქართველოსა და ჯანმრთელობის ორგანიზაციას შორის ძირითად შეთანხმებას. 2005 წელს ოფისს გადაერქვა სახელი და ჩამოყალიბდა, როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) საქართველოს ოფისი.2007 წლის 28 თებერვალს საქართველო მიუერთდა კონვენციას სპეციალური სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ.

ჯანმოს საქართველოს ოფისის პირველი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი თამაზ კერესელიძე, რომელიც ჯანმრთლობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩუტყვავილას გლობალური ერადიკაციის კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო 1970-იან წლებში. 1999-2016 წლებში ჯანმოს საქართველოს ოფისს ხელმძღვანელობდა ქალბატონი რუსუდან კლიმიაშვილი. 2016 წ ოქტომბრიდან ჯანმოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელია ბატონი მარიან ივანუშა. ჯანმოს საქართველოს ოფისი ექვემდებარება ევროპის რეგიონულ ოფისს და თმაშობს ძალზედ მნიშვნელოვან როლს საქართველოსა და ჯანმოს კოლაბორაციის გაძლიერების, ადმინისტრაციული, კონსოლიდირების, მენეჯმენტისა კუთხით. ის ასევე ხელს უყობს მთავრობასა და ჯანმოს შორის ურთიერთობას, ხელს უწყობს ჯანმოს პოლიტიკის თობაზე მთავრობის დროულ ინფორმირებას და შეიმუშავებს სტრატეგიებსა და აქტივობებს ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და ჯანდაცვის ინტერსექტორულ საკითხებზე რჩევების პარალელურად.

ჯანმოს საქართველოს ოფისი ქვეყანაში აქტივობებს წარმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, გაეროს ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და აქტიური როლი უჭირავს ჯანდაცვის სექტორში. ჯანმოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის ეროვნული საკონტაქტო პირია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ნინო ბერძული.

მჭიდრო თანამშრომლობაა ჩამოყალიბებული ჯანმოს საქართველოს ოფისს, რეგიონული ოფისის შესაბამის ტქნიკურ განუყოფილებებსა და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ჩათვლით.

ჯანმო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში შესაძლებლობების ზრდის მხრივ. საქართველოს ჯანდაცვის სპეციალისტები რეგულარულად მონაწილეობენ ჯანმოს შეზვედრებში, კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სასწავლო კურსებში. ჯანმოს ექსპერტები და კონსულტანტები რეგულარულად სტუმრობენ საქართველოს ადგილობრივი სპეციალისტების დასახმარებლად, ქვეყნის საჭიროებებთან თანხვედრის მიზნით. ჯანმოს პოლიტიკის თანახმად, სამინისტრო ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს ჯანმოს მმართველობითი ორგანოების ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეისა და რეგიონული კომიტეტის შეხვედრებში.

ჯანმოს თანამშრომლობა საქართველოსთან, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებთან ხორციელდება ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმებების (BCA) ფარგლებში, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომლობის პრიორიტეტები. შეთანხმებები შემუშავებულია ჯანდაცვის ეროვნულ დაწესებულებებთნ და ჯანმოს რეგიონულ და ქვეყნის ოფისებს შორის თანმიმდევრული კონსულტაციების საფუძველზე.
ადრეული 1990-იანი წლებიდან დაწყებული ჯანმოს ევროპის რეგიონულ ოფისსა და საქართველოს მთავრობას შორის ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმება ეფუძნება შემდეგ პრიორიტეტებს:

- ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის, ჯანდაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- ჯანდაცვის სისტემებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაძლიერება:
  - არაგდამდებ დაავადებებზე ეროვნული ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემის და ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება – ლუგარის ცენტრის ბაზაზე არსებული 3 ლაბორატორია (პოლიო, წითელა/წითურა, გრიპი) ყოველწლიურად ირებს აკრედიტაციას, ხოლო 5 ლაბორატორია ჩართულია ჯანმოს ლაბორატორიულ ქსელში (როტა და სხვ.); ჯანდაცვის სისტემების ფუნქციონირების შეფასება (HSPA); საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის შეფასება; ჯანდაცვის ფინანსირება/უთანასწორობა ჯანდაცვაში; ჯანმრთელობის ანგარიშების ეროვნული სისტემა; ადამიანური რესურსები ჯანდაცვისთვის; პირველადი ჯანდაცვის მხარდაჭერა;
- ჯანდაცვით საყოველთაო მოცვა;
- ჯანდაცვის ეროვნული საინფორმაციო სისტემის განმტკიცება: შესაძლებლობების გაძლიერება ავადობისა და სიკვდილობის მონაცემების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- თანამშრომლობა გლობალური სტრატეგიების საკითხებში, როგორიც არის ათასწლეულის განვითარების მიზნები, ჯანმრთელობა 2020 პოლიტიკა და მდგრადი განვითრების მიზნიები (ჯანდაცვასთან დაკავშირებული მიზნები);
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა
  - რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში გარკვეული სერვისების შერჩევითი შესყიდვა;
- იმუნიზაციის ეროვნული სისტემების გაძლიერება, როგორიც არის: წითელა / წითურა / გრიპი; იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის ფარგლებში ახალი ვაქცინების დანერგვა (B ჰეპატიტი, როტა, პნევმო-, ჰექსა, ადამიანის პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო); ვაქცინების გლობალური სამოქმედო გეგმის დანერგვა და მონიტორინგი „ვაქცინების დეკადით“ განსაზღვრული მიზნების მიღწევის მიზნით; საქართველოში ვაქცინების შესყიდვის მექანიზმის შეფასება;
- გადამდებ დაავადებათა მართვა, როგორიცაა: Addressing Communicable Diseases, such as:

- აივ/შიდსი/სგგდ, მათ შორის აივ ინფექციისა და სიფილისის დედიდან შვილზე გადაცემიდან თავისუფალი სტატუსი;
- ვირუსული ჰეპატიტები / საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია;
- ტუბერკულოზი/მულტი-რეზისტენტული ტუბერკულოზი (MDR-TB);
- გრიპი;
- მალარიის ელიმინაცია / ლეიშმანიოზი;
- მწვავე დუნე დამბლის (AFP) და გარემოს სინჯების ლაბორატორიული ზედამხედველობა პოლიოსგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნების მიზნით;
- ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები (IHR);
- კატასტროფებზე მზად ყოფნა და რეაგირება;
- ანტიმიკრობული რეზისტენტობა: ეროვნული სტრატეგია, გლობალური სამოქმედო გეგმა;

- არაგადამდები დაავადებების მართვა, როგორიც არის:
  - აგდ პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირებული პოლიტიკური დოკუმენტები და სტრატეგიები;
  - STEPs კვლევა;
  - აგდ რისკ-ფაქტორების კვლევები - ბავშვთა სიმსუქნის შეფასების ინიციატივა (COSI), სასკოლო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა (HBSC), ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების გლობალური კვლევა (GYTS) დ.ა.შ.;
  - პირველადი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების შესაძლებლობების გაძლიერება აგდ პრევენციისა და კონტროლის საკითხებზე;
  - თამბაქოს კონტროლის გაძლიერება;

- გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP);
- ქიმიური უსაფრთხოება – "საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით სამოქმედო და ოპერაციული ჩარჩოს შემუშავება";
- GLAAS – სანიტარიისა და სასმელი წყლის გლობალური ანალიზი და შეფასება 2016-2017 წწ კვლევა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის დანერგვა ჰელსინკის დეკლარაციის შესაბამისად;
- კიბოს ტრატეგია;
- ეპილეფსიის სადემონსტრაციო პროექტი;
- საგზაო უსაფრთხოება.

- უსაფრთხო სისხლის სისტემის გაძლიერება: სისხლის გადასხმის სადგურების შეფასება; საქართველოში სისხლის გადასხმის სისტემის განახლების საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება.

ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმება 2016-2017

ჯანმოს ევროპის რეგიონულ ოფისსა და საქართველოს მთავრობას შორის მიმდინარე 2016-2017 წწ ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და გეგმები (ინსტრუმენტები და კონსულტაციები ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების/დანერგვის პროცესში, „ჯანმრთელობა 2020"-ის შესაბამისად); ჯანდაცვის ფინანსირება; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონიტორინგის პროცესში დახმარება;
- გარემოს ჯანმრთელობა: გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEHAP) შემუშავება და დანერგვა;
- ჯანდაცვის სისტემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები (ჯანდაცვის ეროვნული საინფორმაციო სისტემების გაძლიერება; ტექნიკური დახმარება მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით);

- ეროვნული მულტისექტორული პოლიტიკური დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება არაგადამდებ დაავადებათა (აგდ) პრევენციისა და კონტროლის მიზნით; სტრატეგიების განხორციელება აგდ მოდიფიცირებადი რისკ ფაქტორების შემცირების მიზნით, თამბაქოს კონტროლის ჩათვლით;
- სიცოცხლის მანძილზე ჯანმრთელობის ხელშეწყობ (პედიატრიული დახმარების ხარისხის გაუმჯობესება პირველად ჯანდაცვასა და ჰოსპიტალურ დონეებზე;
- გადამდები დაავადებები (ვაქცინებით მართვადი დაავადებები, წითელა/წითურა, პოლიო, ვისრუსული ჰეპატიტები, ტუბერკულოზი);
- მზადყოფნა, ეპიდ. ზედამხედველობა და რეაგირება (ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR) შესაძლებლობების შენარჩუნების მხარდაჭერა); ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეპიდ. ზედამხედველობის სისტემის განმტკიცება.

ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმება 2018-2019

2018-2019 წწ ორწლიანი თანამშრომლობის შეთანხმება, რომელსაც ხელი 2017 წლის 28 ნოემბერს მოეწერა აგნსაზღვრავს ტექნიკური თანამშრომლობის/დახმარების სფეროებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებში:

- გადამდები დაავადებები: ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, ვაქცინებით მართვადი დაავადებები, ანტიმიკრობული რეზისტენტობა;
- არაგდამდები დაავადებები; პოპულაციაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები და თამბაქოს კონტროლი;
- რექპროდუქციული, დედათა, ახალშობილთა, ბავშვთა, მოზარდთა ჯანმრთლობა და გარემოს ჯანმრთელობა;
- ჯანდაცვის სისტემების განმტკიცება, კერძოდ - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (მათ შორის - სტრატეგიული შესყიდვა, სელექტიური კონტრაქტირება, სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება, პირველადი ჯანდაცვა დ.ა.შ.), ისევე, როგორც ინფორმაცია და მტკიცებულებები (პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით);
- გადაუდებელი მდგომარეობების დროს მზადყოფნა.

2018-2019 წლებში ტექნიკური დახმარების დაგეგმილი ბიუჯეტი აჭარბებს 1 000 000 აშშ დოლარს (არ შედის ჯანმოს ოფისის აპარატის ხარჯები).

ჯანმო ადვოკატირებას უწევს ჯანდაცვის სფეროს სხვა ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან შეხვედრების დროს, რომელთა შორისაა მსოფლიო ბანკი, გლობალური ფონდი, ევროკომისია, ვაქცინების გლობალური ალიანსი (GAVI) და სხვ.